



თინათინ ეპისტოლე

ქართული მეცნიერებლი  
გიგლიოოგრაფიის  
მოჭირნახულე

90




თბილისი — 1992

საქართველოს ნესაზღდიკის პუდოზის სამინისტრო

საქართველოს სახელმწიფო ეროვნული გიგანტობრივი

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკის პალატა



## თიცეათინ ნაკაშიცე

ჩართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიის  
მომიხრახეულე

(თამარ პუდია-ღვალაძე)

ნაშრომი ეძღვნება ცნობილი ქართველი მკვლევარ-ბიბლიოგრაფისა და პედაგოგის, თანამედროვე ქართული მეცნიერობის მიმღებლი, ოგრძაფისა და საბიბლიოოთეკო საქმის ერთ-ერთი უუძრიშტებლის, საქართველოს რესპუბლიკის საპატიო და დამსახურებული ბიბლიოთეკარის თამაზ ნესტორის ასულ კუცია-ლევაძის ცხოვრებასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას. მას დართული იქნას თ. კუცია-ლევაძის შრომათა სრული ბიბლიოგრაფია.

ნაშრომი ეძღვნება გამოჩენილი ბიბლიოგრაფის დაბადებიდან 90-ე წლისთვის.

რედაქტორი: ისტ. მეცნ. კანდიდატი ლევან ურუშაძე

მიმღებლის მიმღებლის მიმღებლის  
მიმღებლის მიმღებლის

(მდგრადი დროის მიმღებლის)

საქართველოს  
რესპუბლიკის  
ბიბლიოთეკი



E 68.629  
3

## თამარ კულტი-ლიტერატურული

### (ცხოვრება და მოღვაწეობა)

როგორც ცნობილია, საქართველოში საბჭოთა ჩეუიმის ღამყარება შეგრებისა და წაღევის საშიშროება შეუქმნა ქართულ ეროვნულ კულტურას. ჰერმანი პატრიოტთა უპირვედეს მოვაცეობად იქცა ჩვენი უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ამგვარ პირობებში კულტურის სამსახურში ჩადგა ქართველ ბიბლიოგრაფთა და ბიბლიოთეკათ-მცოდნეთა სახელმწიფო ბიბლიოთი, გიორგი გაქრაძე, ვიქტორ ბროსე, პარმენ ჭანიშვილი, პატრიოტ ხუნდაძე, დიმიტრი მარკვევიჩი, თამარ კუცია-ლვაძაძე, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, თინათინ ნაკაშიშვილი, თამარ მაჭავარიანი, ანასტასია კასრაძე, დევან ეგორაშვილი და სხვანი. ეს ის თაობა გახდავთ, რომდის თითოეულმა წარმომადგენერმა, მიუხედავად საბჭოთა ტოტალიტარული ჩეუიმის უდმობელი, ანტიქართული პოლიტიკისა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ეროვნული მეცნიერული ბიბლიოგრაფისა და საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას, ქართული წიგნის პოპულარიზაციას შეაძია.

სწორედ ამ პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გახდათ შესანიშნავი მამულიშვილი, ქართული კულტურის უანგარო მოღვაწე, გამოჩერნილი მკვდევარი-ბიბლიოგრაფი და საბიბლიოთეკო საქმის თვალსაჩინო ორგანიზაციონი თამარ ნესტორის ას. კუცია-ლვაძაძე, რომდის გმირული ცხოვრება მრავალშიც მისაბაძი და სამაგადითოა.

დაიმადა იგი 1902 წლის 22 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის დაბა აბაშაში. მამამისი — ნესტორ მეოთოვეს ძე კუცია (ხუცია, 1876—1912) სამეგრელოში ცნობილი სე-ტყის მრეწველი და კომერსანტი, თავისი ღრივისათვის ფრიად განათღებული პიროვნება ყოფილა. ქართული კიდასიკური დიტერატურის ჩინებულად მცოდნეს თავადაც საუკეთესო საოჯახო ბიბლიოთეკა ჰქონდა (აღსანიშნავია, რომ მან ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“). იგი აჩჩეუდი იყო

სენაკის მაზრის თვითმმართველობის ხმოსნად და აბაშის ორკარასიანი ნორმაღური სასწავლებელის მზრუნველთა საბჭოს წევრად. ნესტორ კუციას თაოსნობით სამკითხველოები გაიჩსნა მის მშობლიურ სოფელ სუჯუნასა და აბაშაში. გარდა ამისა, მისი გარდაცვალების შემდეგ მძიე სახელში იქნა გადატანილი აბაშის სკოდა. გარდაიცვალა რევოლუციას ახალგაზრდა — 36 წლისა 1912 წელს. უნდა ალინიშნოს, რომ კუციათა ეს შტო სასუღიერო წოდებას ეკუთვნოდა და ქადბატონ თამარის წინაპრები ხუციას გვარს ატარებდნენ. სუჯუნის წმ. გორგის ცნობილი ეკლესიის წინამძღვარი იყო თ. კუცია-ლვადაძის ბაზუის მამა ნიკოლოზი, რომელსაც ცოდნად ჰყავდა საეკვდესიო აზნაურ ხოშტარის ასული (მწერად დატუ მეგრების ბაზუის და). ბაზუამისი — ღვაკანოზი მეთოდე ხუციაც ხსნებული ეკლესიის წინამძღვარი იყო. მეთოდეს მეუღლე (ქ-ნ თამარის ბერია) გახდათ შეძებული თავადის, დაიღანების მსახურთუხუცესის ასული საბომე მიქაძე.

ქადბატონ თამარის ღედა — ედისაბედი (1880—1922) წარმოშობით აზნაურის, მღვდელ სოფრომ გამიდაისა ასული, საოჯახო საქმით იყო დაკავებული.

საგუდისხმოა, რომ ქადბატონ თამარის ნათდიები იყვნენ ცნობილი მრეწველი ტრიფონ თოფურია (აკადემიკოს ვარდამ თოფურიას მამა) და გამოჩენილი მრეწველი, ქვედმოქმედი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ხოშტარია (რომელიც გიძაშვილად ერგებოდა ნესტორ კუციას).

აი, ამგვარ გარემოცვაში აღიზარდნენ თამარ კუცია-ლვადაძე და მისი უფროსი და — ცნობილი ექიმი-პედიატრი საქართველოს დამსახურებული ექიმი ანა (ანიკო) კუცია-ჩირია (1898—1964).

პირველაწყებითი განათლება თამარმა აბაშაში მიიღო — 1916 წელს დაამთავრა აბაშის ორკარასიანი ნორმაღური სასწავლებელი.

1917 წელს იგი ჩამოვიდა თბილისში და ჩაირიცხა სახადხო განათლების კურსებად წოდებულ კერძო გიმნაზიაში, რომელიც მისი დირექტორის პატიკესაცემად „შაღვა ნუცუბიძის კურსებად“ იყო ცნობილი.

კურსებზე შაღვა ნუცუბიძის ვარდა ასწავლიდნენ ქართველი ერის საუკეთესო შვილები: ვასიდ ბარნოვი (ბარნაველი), გიორგი გესტმანი, გიორგი ახვდებიანი, ერასტი ფალავა, ღიმიტრი უზნაძე, თევდო ბეგიაშვილი, აღექსანდრე მღივანი, ტრიფონე ხუნდაძე, ედისაზედ ჯ. მბაკურარბეგიანი, აღექსანდრე ნეიმანი და სხვები. სასწავლებელს ყურაღლებას არ აკლებდა ღიღი ივანე ჯავახიშვილი.

სწორედ აქ გაიცნო ქართულობისა თამარის თავისი მომავალი მე-  
ულდე — თვალსაჩინო იურისტი და საზოგადო მოღარეობის (1921 წელს გრძელებისა  
წელების ქართული ეროვნული მოძრაობის (1921 წელს გრძელებისა და  
1924 წელს ამბოხების) აქტიური მონაწილე ევგენ (გენ) არტემის შეკვებაშე  
დამარცხე (1900—1937), რომელიც სამუდამოდ დაუკავშირა მედი 1922  
წელს. აღსანიშნავია, რომ ევგენ დგადა 1918—1925 წელებში იყო  
მემარჯვენე ფედერალისტი, 1922—1924 წელებში დამკომის რწმუნე-  
ბული. 1925 წელს შემდგომ იგი იზიარებდა პოლიტიკური ერთობის  
„თეორი გიორგი“-ს მსოფლმხედველობას. ლვადაძემს ეყოდათ ოთხი  
შვილი, რომელიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ ქართული მეცნიე-  
რებისა და კულტურის ამა თუ იმ დარგში. სამწუხარო, სამედისწერო  
1937 წელმა არ დაინდო ეს გრძელი 1922 წელის გადახდების შემდეგ  
გამოაწყო ქადაგატონი თამარი. რომელიც სიცოცხლის მოღომებები იყო  
სახელმწიფო მეუღლისა, მისი ნათელი ხსოვნისა.

გიმნაზია თამარ კუცია-ლვადაძემ 1920 წელს დაამთავრა. მომ-  
დევნო 1921 წელს კი იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის სიმართლის მეცნიერების ფაკულტეტის სიტყვიერების დარგზე.  
აქ მისი მასწავლებელი იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, აღექსანდრე ცაგა-  
რელი, გრიგორ წერეთელი, კორნელი ვეგელიძე, გიორგი ახვლედიანი, იუს-  
ტინე აბულაძე, შავა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე და სხვა სახელმწიფო  
მეცნიერნი. აღსანიშნავია, რომ მისი საღიპდომო შრომის „ზაქარია და  
ბესიკ გაბაშვილების შემოქმედება“ ხელმძღვანელი იყო პოლიტიკი  
აღექსანდრე ცაგარელი (1844—1929), პეტერბურგის ცნობილი ქართ-  
ველობის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი მამამთავარი. ნაშრომის  
ოპონენტი (რეცენზენტი) კი გახდათ ივანე ჯავახიშვილი.

უნივერსიტეტში სწავლის წედები თ. ლვადაძემ ზედმიწევნით შე-  
ისწავა ძველი ბერძნული ენა (1922—1925 წელებში მას ბერძნულს ას-  
წავდიღნენ აკადემიკოსი გრიგორ წერეთელი და ღოცენტი ათანასე ჯვარ-  
შეიშვილი). გადაწყვეტილი იყო კიდევ მისი ერინისტური ფილოლოგის  
კათედრაზე საპროფესორო მოსამზადებლად დატოვება, მაგრამ მან  
გიმდიოგრაფიისა და ბიბლიოლოგიის დარგში მუშაობა აჩჩია, უარი  
თქვა რა ბრწყინვადე სამეცნიერო კარიერაზე. თვითონ ამ აჩჩევანს გა-  
მართვებულად თვლიდა და სიცოცხლის მოღომებები ამაყობდა, რომ თანა-  
მედროვე ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიისა და ჩესპუბლიკაში სა-  
ბიბლიოთეკო საქმის ერთ-ერთი მესაძირკვდე იყო. გარდა ბერძნულისა  
თ. ლვადაძე კარგად ფინანსური ენასაც (გერმანულს მას ცნობი-

ღ გერმანისტი იღ. ყიფშიძე ასწავლიდა).

1925 წედს თამარ ლვალაძემ წარჩინებით დაასრულა უნივერსიტეტის სიმართლეში სამეცნიერო კურსი.

შრომითი საქმიანობა ქადგატონმა თამარმა სრულია ახალგაზის რდამ — 18 წლისამ დაიწყო 1920 წედს, საქართველოს დემოკრატიკული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საქმეთა მმართველად. 1923 წლის დამდეგამდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის მე-3 საცენტ-საჩვენებელ შრომის სკოლაში, ასწავლიდა ქართულ ენასა და დილერატურას. ამასთან, 1922 წლის სექტემბრიდან საბიბრიოთეკო დარგშიც დაიწყო მუშაობა. ამიერიდან მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრება საქართველოში საბიბრიოთეკო საქმის წინსვდა-განვითარებას. დარგის კვადიფიციური კადების მომზადებას შეაღია, მხარში ეღა რა ვარო ციციშვილს, გიორგი ბაქრაძესა და ვიქტორ ბროსეს.

1922 წედს ყოფილი ა. ს. ბუჭკინის სახელობის საქადაქო მიმღილოთეკის გაზაზე (ხსნებული ბიბრიოთეკა არსებობდა 1910 წლიდან) დაარსდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სკოლის-გარეშე განათლების რესპუბლიკური საზღვის ბიბრიოთეკა, რომელსაც ცაგენ შენობა პქნონდა დათმობილი. მისმა დირექტორმა ვანო ციციშვილმა (1880—1942) ბიბრიოთეკის დაარსებისთანავე სამუშაოდ მიიწვია 20 წლის თამარიც. უნდა ითქვას, რომ ეს წიგნთსაცავი ქართულ კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. ხსნებული წლის ოქტომბერში თ. კუცია-ლვალაძე ჩარიცხულ იქნა ბიბრიოთეკის მუდმივ შტატში უფროსი ბიბრიოთეკარის თანამდებობაზე. ივანე ციციშვილმა უმაღ შენიშნა ახალგაზრდა მუშაკის მონდომება და მისი ნათელი ნიჭი.

1924 წედს თ. ლვალაძე დაინიშნა ბიბრიოთეკის სამკითხველოს გამგედ, 1925—1930 წლებში კი, ბიბრიოთეკის გაუქმებამდე, იგი იყო ღირექტორის მოაღიდის მოვალეობის შემსრულებელი. ასე, ღროსის მცირე მონაკვეთში თამარი იქცა ბიბრიოთეკის ხედმძღვანელ მუშაკად, ვანო ციციშვილის მარჯვენა ხედად. ქადაგონი თამარი კურირებდა გამოფენების მოწყობის საქმეს და ბიბრიოგრაფიული განყოფილების მუშაობას.

1924 წლიდან თამარ კუცია-ლვალაძე ჩაეტა კვლევით-ბიბრიოგრაფიულ საქმიანობაში. აღნიშნულ წედს იგი არჩეულ იქნა „ტფილისის ბიბრიოთეკებში დაცული ქართული წიგნების შეერთებული კატალოგის შემ-



დგენი კომისიის“ შემაღენდობაში. 1925 წელს, კომისიის მუშაობის წერტილი წრისთავშე გამოსაცემად იქნა მომზადებული „ტფილისის მიმდევრობის ოთვების ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი“-ს პირველი ნაწილი (1921—1924 წელის აღწერილობაში). ამ კატალოგის შედგენას დაემთხვა თ. კუცია-ლვაძაძის უშუალო მონაწილეობით პირველი ქართული საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული ჟურნალის „წიგნის მეცნობრის“ დაასება. 1925 წლის დამდევს გამოიცა ამ ჟურნალის პირველი-მეორე ნომრები, რომელსაც ვრცელი (5-ფორმისანი) დამატების სახით ცალკე აქვს დართული დასახელებული კატალოგი. ეს იყო თამარ ლვაძაძის მონაწილეობით შედგენილი პირველი მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი. გათვალისწინებული იყო კატალოგის მეორე ნაკვეთის გამოცემა, მაგრამ, ხერისუფლების ყრვლად უსაფუძვლო განკარგულებით შეწყდა უურნად „წიგნის მეცნობრის“ გამოცემა.

1925 წლიდან თამარ ლვაძაძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს განსახკომის, შემდევ კი კულტურის სამინისტროს ერთწლიან მუდმივმოქმედ საბიბლიოთეკო კურსებზე. ამ კურსებზე ასწავლიდა იგი თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე. გარდა ამისა, 1938—1942 წლებში იგი დექციებს კითხულობდა თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელში, რომელიც იმზანად პოდიტგანათების სასწავლებლად იწოდებოდა. ნახევარსაუკუნოვანი ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე ქადაგატონ თამარის ხედში აღიზარდა დღეს უკვე გამოცდიდი და ცნობილი ათობით სპეციალისტი.

1930 წელს განსახკომის სკოდისგარეშე განათლების რესპუბლიკური სახელის პიმდილოთეკა გაუქმებულ იქნა და მისი მთელი წიგნაზე ფონდი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ (საჯარო) ბიბლიოთეკას (რომელიც დღეს სახელმწიფო ეროვნულ ბიბლიოთეკად იწოდება).

იმავე წელს თამარ კუცია-ლვაძაძე დაინიშნა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ცენტრალური წიგნთსაცავის გამგის მოაღერედ. გამგე იყო იაკინთე დისამვიდი, რომელსაც საბიბლიოთეკო საქმის არაფერი გაეგებოდა. ამიტომ, ფაქტიურად, თამარი წარმართავდა ბიბლიოთეკის ამ უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ქვედანაყოფის მთელს მუშაობას.

ამავე წლის, იგი განაგრძობდა კვდევით მოღვაწეობას. 1928 წელს გამოიცა აკაკი წერეთლის „რჩეული თხზულებები“-ს მე-4 ტომი, რომელსაც დართული აქვს თამარ ლვაძაძის მიერ შედგენილი ვრცელი

ბიბლიოგრაფია „აკაკის ღირიკა“, ჩომედიც წარმოაღენს სამჭიოთა პერიოდის აკაკის შემოქმედების პირველ მნიშვნელოვან ბიბლიოგრაფიულ გამოკვდევას.

1927 წელს თ. ლვადაძის უშუალო მონაწილეობით საქართველოს განსახკომის ცენტრალური აპარატის ბიბლიოთეკის გაზაზე ღარას და სახლს განათღების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ჩომედიც ღლეს იაკობ გოგებაშვილის სახელს ატარებს.

1934 წლის სექტემბერში ქ-ნი თამარი ღაინიშნა საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვედანაყოფის — რარიტეტისაცავის (იშვიათი წიგნების განყოფილების) გამგებ. ამ თანამდებობაზე მან ვ. ბროსე შეცვადა.

იმავე წელს თ. კუცია-ლვადაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო „საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შემობი“-ს დაარსებაში. აღნიშნული გამოცემა გამოიღო მხოლოდ ექვსი წლის მანძილზე (სურ გამოიცა 5 ტომი).

„ღიტერატურული გაზეთი“-ს 1934 წლის 24-ე ნომერში გამოჟღებული თ. ლვადაძის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიული ნარკვევი: „უცხოელი და რუსი ავტორები ტფილისზე“.

ნიშვნელოვანია მისი ღამსახურება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაგრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა და იღია ჰავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის ღამუშავებაში. ამ საქმეში იგი უანგაროდ ეღგა შესარში ქართული წიგნის ღიღ მოჭირნახულეს, რესპუბლიკის საპატიო და ღამსახურებულ მიზიდოთეკას ქადაგონ თამარ მაჭავარიანს (1895—1979).

1937 წლის 9 აგვისტოს ღიღი უზედურება ღაატყება თავს თამარ ლვადაძეს — ღაპატიმრეს ევგენ ლვადაძე. მან, საპურობილეში ჩაგარდნიდა კიდევ ერთხედ ღაადასტურა თავისი უზაღო კაცომოყვარეობა და სუღიერი სიმტკიცე — ხეღი არ მოაწერა არც ერთ აქტს, რომელიც საფრთხეს უქმნიდა უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლეს. იმავე წლის ოქტომბრის ღამდევს ბინძური განაჩენი სისტუდეში იქნა მოყვანილი. ასე ღაქვრივდა ქადაგონი თამარი, ასე ღაკარგა მამა მისმა ოთხმა შვილია. მაგრამ როგორ მოტყება, როგორ ღაყარა ფარ-ხმადი: ალზარდა სახელის მამის ლირსეული შვილები. არც თავის საქმეს უღადატა, შემართებით ემსახურა რა მას ათეული წლების მანძილზე.

1938 წლის ოქტომბრამდე მოლვაშეობდა თამარ კუცია-ლვადაძე საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

სსენებულ წედს „საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“—ს მე-4 ტომიში ციტირდა გამოქვეყნდა მის მიერ თამარ მაჭავარიანთან ერთად შეღვენილი კრიტიკითა დი ბიბლიოგრაფია „შოთა ჩუპთავედი უცხოეთის დიტერატურაში“.

1938 წედის ოქტომბრის დამდევს თ. ლვადაძე სამუშაოდ ჩესპუბ-დიკის სახელმწიფო წიგნის პარატაში მიიწვიეს. 1939 წედის სექტემ-ბრამდე მუშაობდა უფროს ბიბლიოგრაფია და განყოფილების გამგიპ მოაგვიდედ, ხოლო 1939—1942 წედებში კი წიგნის პარატის მთავარ ბიბლიოგრაფიად.

წიგნის პარატაში ქადმატონ თამარის გადასვდის ღროისათვის პა-დატამ დაიწყო მუშაობა „ქართული წიგნი“—ს 1629—1920 წედების მასაღების მომცვევი კაპიტალური, მონუმენტური ბიბლიოგრაფიის შე-საღვენად, რაზიც იმთავითვე აქტიურად ჩამარ კუცია-ლვადაძეც.

გარდა ამისა, იგი აქტიურად მონაწილეობდა პარატის პერიოდული ბიბლიოგრაფიული გამოცემების შეღვენა-რედაქტირებასა და ჩეცენზი-რებაში. მის მიერ იქნა შეღვენილი „გაზეთის სტატიების მატიანის“ 1939 წედის მე-2, 1940 წედის მე-12 და 1941 წედის მე-7 ნომრები. მანვე მიიღო მონაწილეობა „ჩეცენზიების ბიბლიოგრაფიის“ (1930—1938 წედების აღწერილობანი) შეღვენაში.

1941 წედს გამოიცა წიგნის პარატის ოთხწლიანი დაულა-დავი შრომის შესანიშნავი ნაყოფი: „ქართული წიგნი“—ს პირველი მო-ნუმენტური ტომი (1629—1920 წედების მასაღები), რომდის ერთ-ერთი შემდგენელი იყო თამარ კუცია-ლვადაძე. მას ეკუთვნის ამ გამო-ცემის 1893—1898 და 1905—1907 წედების მასაღების აღწერილო-ბანი.

სწორედ ამ პერიოდში თ. ლვადაძეს ქრისტინე შარაშიძესთან ერ-თად ახდო საქმიანი კონტაქტები პქონდა დიდ ივანე ჯავახიშვილთან, რომელიც ჩსენებული ტომის მეცნიერ-კონსულტანტი გახდათ. ქადმა-ტონ ქრისტინესა და ქადმატონ თამარს ხშირად უხდებოდათ ივ. ჯავა-ხიშვილთან სტუმრობა როგორც მუზეუმში, ისე შინ. სამწუხაროდ, დი-დი მეცნიერი ვერ მოესწრო წიგნის გამოცემას.

1941 წედს თ. კუცია-ლვადაძის მონაწილეობით დაარსდა საქარ-თვედოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიო-თეკა.

1942 წედის ივნისში თ. ლვადაძე იძულებული გახდა თავი დაქნე-ბებინა წიგნის პარატაში მუშაობისათვის. ომის პირობებში დახმარე-

გის გარეშე რთული იყო ოთხი შეიძის რჩენა. მან მიაშურა მეულ ის მშობიურ სოფედ სვერს (სოფედი ჭიათურიდან თხუთმეტიოდე პირო-მეტითაა დაციდებული) და იმავე თვის დამდევს დაინიშნა სოფედის და-შუალ სკოდის ღირექტორის მოადგიდედ — სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად. მცირე ხანს ღირექტორის მოვადეობასაც ასრულებდა. სუდ სამი წევი იმუშავა ქადაგატონმა თამარმა სვერის სა-შუალ სკოდაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ლრმა კვალი დატოვა როვორც მრავალრიცხოვან მოწაფეებში, ისე მთელი რაიონის მოსახ-დეობაში. ყოველივე ეს განაპირობა მისმა უზაღლ პედაგოგიურმა ნიჭ-მა და აღლომ, მისმა პრინციპულობამ და ამავე ძროს, საოცარმა გუდის-ხმიერებამ. იგი ჭეშმარიტად ნოვატორი პედაგოგი გახდეათ — მის მი-ერ შემუშავებული მეთოდიკით რამდენიმე ათწევულის მანძილზე ისწავ-დებოდა რაიონში ქართული ენა — ღიტერატურა და ისტორია.

მის ყოფილ მოწაფეთა შორის ღლეს არაერთი თვადსაჩინო სპეცი-ადისტი და მოღვაწეა. მათ შორის შეიძება დავასახელოთ ქართული თოჯინური თეატრის ღიზი მოჭირნახულე, ცნობილი თეატრმცონენ, სა-ქართველოს საბაზო არტისტი შოთა ცუცქირიძე, თვადსაჩინო პედა-გოგი, დამსახურებული მასწავლებელი იოსებ გიწაძე და სხვანი. თამარ ლვადაძის პედაგოგიური ნიჭის დასტურად მოვიყვანთ ერთ აღგიძს მისა ყოფილი მოწაფის წერილიდან:

„მშობიურო აღამიანო, პატივცემულო თამარ მასწავლებელო. მე თქვენი მოწაფე ვიყავი, თქვენს მშვენიერ სუდში ჩემს პატარა აზრს თანაგრძონბა უპოვნია. ამიტომ გუდწრულობა იმორჩიდებს ჩემს გო-ნებას და იძულებული ვარ ვალიარო მხოლოდ თქვენთან, ვალიარო ის, რაც არ მინდა მოვიგონო, რაც ჩემთვის ძნელი იყო და სულისშემსუთ-ვი...“ და ყოფილი მოწაფე თავის საწუხას, დარდს უზიარებს, ჩევას თხოვს ძვირფას მასწავლებელს. წერილი 1948 წელით არის დათარიღე-ბული. იშვიათი შემთხვევაა, მით უმეტეს ღლევანდელი ღლისათვის!

1945 წელს ქადაგატონი თამარი მიწვეულ იქნა საქართველოს მეც-ნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიო-თეკის გამგედ. 1946—1951 წელებში პარადებურად განაგებდა მეცნიე-რებათა აკადემიის თბილისის ცენტრალური ბოტანიკური ბალის სამეც-ნიერო ბიბლიოთეკას. ბოტანიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას თ. კუ-ცია-ლვადაძე სათავეში ეღვა პენსიაზე გასვდამდე — 1970 წლის ივ-ნისამდე. სწორედ მისი ხედმძღვანელობით იქცა ეს ბიბლიოთეკა ბოტა-

ნიკური ღიტერატურის უმდიდრეს და უღიღეს წიგნთსაცავად მთედს ამი-ერკავკასიაში. მისი პენსიაზე გასვდის ღროისათვის აქ დაცული იყო 200.000-ზე მეტი ნაბეჭდი ერთეული (1945 წელს კი აქ შხოდოდ 45.000 ტონი ინახებოდა). თ. ლვადაძის ღროს გადაეცა მიმღილთებაც გამოჩენილი ბოტანიკოსების, აკადემიკოსების: ნ. ბუშის, ა. გრისაცე-იმისა და დ. სოსნოვსკის მდიდარი პირადი ბიბლიოთეკები. ქადაგატონ თამარის ხეიმძღვანელობითა და მონაწილეობით იქნა დამუშავებული თითოეული მათგანი.

1947 წელს საქართველოს წიგნის პარატის მიერ გამოიცა თ. ლვა-დაძის „ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია. 1872—1946“, რომელს მუშაობაც ავტორმა დაიწყო ჯერ კიდევ 1939 წელს გამოჩენილი ბიბლიოგრაფის ღოცენტ გიორგი გაქრაძისა და სახელგან-თქმული კომპოზიტორის პროფესორ დიმიტრი არაყიშვილის თხოვნით. ხსენებული ბიბლიოგრაფია წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან, ცადკე წიგნად გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს ქართული მუსიკალური კულტურის დაწესი. ამდენად, თამარ ლვადაძე სამართლიანად ითვეღება ქართული მუსიკალური ხელოვნების ბიბლიოგრაფიული კვლევის ფუძემ-დებდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქადაგატონ თამარის ეს ნაშრომი მოხსენებულია „დიდი სამწოთა ენციკლოპედიის“ მეორე გამოცემაში, როგორც მუსიკისმცოდნეობის დარგში შესრულებული ერთ-ერთი საუკეთესო შრომა (იხ. სტატია „ნოტოგრაფია“). თამარ კუცია-ლვადაძე იყო პირველი ქართველი მეცნიერებელი, რომ მის მიერ დაწესდა პატივი ამ მეტად პერსტიულ გამოცემაში მოხსენიებისა.

ქადაგატონი თამარი მუდამ სიჩარულით იკონებდა შეხვედრებს გამოჩენიდ ქართველ კომპოზიტორებთან დიმიტრი არაყიშვილთან, დევან ფადიაშვილთან, ანდრია ბადანჩივაძესთან...

ამის შემდეგ თ. ლვადაძის თაოსნობით წიგნის პარატაში დაარსდა სპეციალური პერიოდული გამოცემა „ნოტების მატიანე“.

იმავე 1947 წელს თამარ ლვადაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამსახურის სამეცნიერო სამუშაოს წევრად და მის შენადგენდობაში იჩიცხებოდა 1975 წლამდე. აქ იგი წევრის მანძილზე კურირებდა აკადემიის მიოღოვნისა და სოლის მეურნეობის განყოფილებების სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების (ბოტანიკის, ზოოლოგისა და პალეობიოლოგის) ინსტიტუტები, მცენარეთა ბიოქიმიის გამორიგენისა და მათგანის მათგანისა და მათუმის



ბოტანიკური ბალები) სამეცნიერო ბიბლიოთეკების მუშაობას.

გარდა აკადემიის საბიბლიოთეკო საბჭოსი, თამარ ლვანაძე სწვა-დასხვა ღრის არჩეული იყო საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბ-ლიოთეკის, რეპუბლიკის სახელმწიფო წიგნის პარატის, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ბოტანიკის ინს-ტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრად. 1950—1960 წევბში თავმჯდომარეობდა ინსტიტუტის ადგიდკომს. 1949—1960 წევბში ქართული თამარი ხელმძღვანელობდა აკადემიის საბიბლიოთეკო საბ-ჭოს ბიბლიოგისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებების ბიბლიო-თეკების შემოწმებებ კომისიას.

1950—1951 წევბში გამომცემდობა „ტექნიკა და შრომა“ თა-მარ კუცია-ლვანაძის თანაავტორობით გამოსცა წიგნის პარატის მიერ მომზადებული „ქართული წიგნის“ II ტომის პირველი და მეორე ნაკვე-თები (1921—1945 წევბის მასალები). მას ეკუთვნის ამ გამოცემის 1921—1933 წევბის აღწერილობები.

ღიღია თამარ ლვანაძის დამსახურება ქართული ბოტანიკური მეც-ნიერების ბიბლიოგრაფიული კვლევის საქმეში, როგორც ამ მიმართუ-დების ფუძემდებდისა. ჯერ კიდევ 1941 წერს საქართველოს ბოტანი-კური საზოგადოების პერიოდული ჟურნალს „მცენარეთა გეოგრაფიისა და სისტემატიკის ნარკვევების“ მე-10 გამოშვებაში ღაიბეჭდა ბიბ-ლიოგრაფიული საძიებები: „მცენარეთა გეოგრაფიისა და სისტემატი-კის ნარკვევების“ 1—10 გამოშვებების შინაარსი, მცენარეთა (და-თინური) სახელწოდებებისა და სტატიების მაჩვენებელი“, 1958 წერს ნარკვევების მე-20 გამოშვებაში ღაიბეჭდა ანალიგიური ბიბლიოგრა-ფია (მე-2—მე-20 გამოშვებების მასალებისა).

1956 წერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემ-დობამ გამოსცა „თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის პერიოდული გა-მოცემების სტატიების მაჩვენებელი. 1895—1955“, ხოლ 1960 წერს იგივე გამომცემდობამ გამოსცა „თბილისის ბოტანიკის ინსტი-ტუტის შრომების ბიბლიოგრაფია. 1933—1959“.

1961 წერს თ. ლვანაძემ მიიღო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკა-დემიის დენიგრადის ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბიოთე-კის გამგის, საბიბლიოთეკო ღარგის ცნობიდი და აღიარებული სპეცი-ადისტის დ. დებედევის წერიდა: «Искренне благодарю Вас за при-сланный мне «библиографию работ Тбилисского ботаниче- ского института», составленный Вами. Книга эта явля-

ется ценным вкладом в библиографию грузинской ботаники и будет постоянно использоваться ботаниками и библиографами».

1965 წერს ქადაგონმა თამარმა შეაღინა ფუნდამენტური ნაშრომი: „თბილისის ბოტანიკური ბალის შრომების მიზრიოგრაფია. 1890—1965“, რომელიც სამწუხაროდ, ღლემდე ხედნაწერის სახით ინახება ბოტანიკური ბალის მიზრიოთევებიში. ამ შრომის გამოცემა უძინეს სამსახურს გაუწევდა როგორც ბოტანიკოსებს, ასევე მიზრიოგრაფებს.

1968 წერს გაზეთ „სახალხო განათლების“ 28 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ტ. კასრაძისა და ო. ლვაძაძის სტატია: „მიზრიოგრაფია — ახად მოთხოვნათა ღონებები“.

1969 წერს თბილისში ჩატარდა სსრ კავშირის ბოტანიკური საზოგადოების მე-4 ყრიდობა. ამ ყრიდობისათვის საქართველოს ბოტანიკური საზოგადოებისა და მოტანიკის ინსტიტუტის მიერ მოეწყო. ვრცელი ბრწყინვადედ ორგანიზებული გამოფენა „ბოტანიკა საბჭოთა საქართველოში“. გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ღირექტორი იყო ქადაგონი თამარი.

როგორც ყრიდობის მონაწილეებმა, ისე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ მაღალი შეფასება მისცეს ამ მნიშვნელოვანი გამოფენის მოწყობისას თამარ ლვაძაძის მიერ გამოჩენიდ ორგანიზატორულ ნიჭეს.

1960 წერს ო. ლვაძაძე ვდ. უზნაძესთან და ს. თურნავასთან ერთად მონაწილეობდა სსრ კავშირის ბიბლიოთეკების მუშავთა საკავშირო თაობირ-სემინარის მუშაობაში, რომელიც მოეწყო ქ. ღენინგრადში.

1970 წერს, შრომითი მოღვაწეობის ორმოცდაათ წერისთავზე ქადაგონმა თამარმა გადაწყვიტა პენსიაზე გასვდა. თუმც ნააღრევად. ბოტანიკის ინსტიტუტის ღირექციამ, ბოტანიკურმა საზოგადოებამ და ცენტრალურმა სამეცნიერო მიზრიოთევებამ ჩაატარეს თამარ კუცია-ლვაძაძის მოღვაწეობის 50 წერისთავისა და მისი პენსიაზე გაციდების აღსანიშნავი საღამო, რომელზეც აჩაერთი თბილი, სამაღლობელი სიტყვა ითქვა ლვაწმოსიღი აღამიანის მისამართით. მასვე მიეღლვნა იძსტიტუტის კედის გაზეთის „სამჭოთა ბოტანიკოსის“ მთელი ნომერი. მოვიყვანთ ნაწყვეტებს საღამოს ზოგიერთი მონაწილის გამოსვდისა.

„მიზრიოთევკა მსოფლიო აზროვნების საუნდჯეა, კარგი მიზრიოთევკა ხომ საღწვეულა საუნდჯე. მიზრიოთევებისა თავმოყრილი მსოფლიო აზ-



როვნების საუკეთესო ნიმუშები და რამდენადაც იგი სრულდა, რომელიც ნად მისი მჩევდი უფრო ხარისით და ხარბად დაეწაფება ამ ცოდნის წყაროს. გიბდიოთეკა კი იქმნება მხოლოდ ამ ანკარა წყაროს დიდი მოსიყვარულისა და მოამაგის მიერ. ჩვენი გიბდიოთეკა ერთ-ერთი ასეთი საუნჯეა, მისი დიდი მოყვარული და მოამაგე კი ქადაგის თამარია“ (აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი).

„ჩვენი კოდექტივის შრომით ფრონტს ჭოვებს ვაღმოხდიდი, პატივცემული ქადაგის თამარი. მისი ხანგრძლივი, უმწიდესო სამსახური, თითოეულისადმი გუდისემიერი დამოკიდებულება დიდი მაღალობი. გრძნობითაა ასახული ჩვენს ვუდში“ (აკადემიკოსი ვერა მენაძე).

„როგორც გიბდიოთეკის ვამგე; თამარ ღვადაძე ფასზაუდებელი. შეუდარებელი იყო. მხოლოდ მან მისცა ჩვენს ინსტიტუტს ნამდვილი გიბდიოთეკა ამ სიტყვის საუკეთესო ვაგებით“ (პროფესორი ღუბა კემუდარია-ნათაძე).

„თამარ ღვადაძე ახლო გავიცანი და მას ღავუმეგობრი იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ ერთად „საქართველოს ფლორის“ პირველ გამოცემაზე ვმიშაობდით. იმისდა მიუხედავად, ჩომ მაშინ უკვე არსებობდა ქართული ბოტანიკური ტერმინოლოგია, დაგენერი ზ. ყანჩავედის, ნ. კეცხოველის და შემდგომ ად. მაყაშვილის მიერ, ის მოღიანად ვერ აკმაყოფილებდა სახეობათა აღწერისათვის საჭირო დახვეწივ ტერმინოლოგიას და ხშირად დეტალების აღსანიშნავად გაღუჭრებ დაზრუნდებებს ველობებოდით. ბოტანიკურ აღწერათა თავისებური დაკონტრი სტრიქის დასაღენად ჩვენ მოვიშვედიეთ თამარის ზედმიწვენითი ცოდნა ქართული სიტყვისა და მისი კაზმუდისტყვიერება<sup>1</sup>. ახად საქმეს თამარი მისთვის ჩვეული ენთუზიაზმითა და ენერგიით შეხვდა. ბევრი საათი გაგვიტარებია ერთად სტამბაში თუ თამარის მინაზე (რომელიც სტამბის გვერდით იმყოფებოდა) კორექტურის და სტილის სწორებაში. როცა მშრალი დაგნოზების კითხვა-სწორება მოგვმებირებოდა, თამარი ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს გვიკითხავდა გატაცებით“ (ღოცენტი ანა ხარაძე).

ქადაგონ თამარის სასახელოდ უნდა ითქვას, ჩომ მან არც პენსიაზე გასვდის შემდეგ დაანება თავი საყვარედ საქმეს. იგი რამდენიმე


<sup>1</sup> თ. ღვალაძე იყო „საქართველოს ფლორის“ პრველი გამოცემის მე-3-მე-8 ტომების სტილისტური რედაქტორი.

წდის მანძილზე გახდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საბიბლიოთებო სამეცნიერო საბჭოს წევრი — კონსულტანტი (1971—1974 წევრში), საჭირო რჩევა-დარიგებებს აძღევდა საბიბლიოთებო დარის მუშაკებს.

1983 წელს მან მუშაობა დასრულდა „ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა გიბლიოგრაფიაზე“, რომელიც მოიცავს 100 წელს (1871—1971) მასალების აღწერილობებს. გიბლიოგრაფიაში შესულია პირველი ვარიანტიც შევსებული და შესწორებული სახით. ეს ფუნდამენტური, ძვირფასი შრომა, რომელსაც გამოსაცემად საქართველოს სახელმწიფო ეროვნული გიბლიოთების მუსიკალური დიტერატურის განყოფილების გამგე ა. მიგინერიშვილი და ავტორის შვილიშვილი, ისტ. მეცნ. კანიკლატი დევან ურუშაძე ამზადებენ, გამომცემლობა „განათლება“-ში დაისტამბება.

1984 წელს ო. ლავაძემ შეაღენია „პროფესორ გრიგორ ფილიმონის ძე წერეთლის გიბლიოგრაფია“, რომელიც სერნაწერის სახითაა დაცული.

თამარ კუცია-ლვაძეს ეკუთვნის არაერთი გამოქვეყნებული და სერნაწერი მოგონება გამოჩენიდ ქართველ მწერლებზე, მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებზე. მოსაგონარი კი ძალებ ბეგრი ჰქონდა. ჯერ კიდევ 1923—1937 წევრში ევგენ და თამარ ლვაძაძეების გინა განვითა (აწ გადაკტიონის) ქუჩის № 9 სახლში ერთგვარ დიტერატურულ საღონის წარმოადგენდა. აქ ხშირად იყრიდნენ თავს ამ ოჯახის ახდო მეგობრები: თეოო სახოკია, გიორგი ახვედიანი, აღექსანდრე წერეთელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, გადაკტიონ ტაბიძე, ვიქტორ ბროსე, მარიამ ხოშტარია, ხარიტონ ვაჩელოშვილი, ივანე ციციშვილი, სეით დევდარიანი, პეტრე ქავთარაძე და სხვა სახელოვანი მოღვაწენი. მათ გარდა, გენო ლვაძე მეგობრობდა ივანე ჯავახიშვილთან, შავა ნუცუტიძესთან, აღექსანდრე ვაჩერიშვილთან, ღუარსაბ ანდრონიკაშვილთან, ვასიდ წერეთელთან (იგი ბატონ ევგენის ნათდია გახდათ), ტერენტი გრანედთან, ტიციან ტაბიძესთან, გრიგორ რომაქიძესთან (ღიღი მწერალი ლვაძაძეების უფროსი შვიდის ღონდას ნათდია იყო)... ქადაგტონ თამარის მეგობრები იყვნენ შავა აფხაძე, ვარდამ თოლურია, დაღო გეგეჭკორი, ქრისტინე შარაშიძე, დავით კასრაძე, ბაბო წერეთელი, ქეთევან დათიკაშვილი...



ქართული დიტერატურის სიყვარული მშობების წყალღით გავშე-  
ვობიდანვე მოსედგამდა თამარ ლვადაძეს. 1921—1923 წელებში მან  
რამდენიმე მცირე დიტერატურული ნარკვევიც კი გამოაქვეყნა გაზიერ  
„ტრიბუნა“-ში.

1973 წელს გამომცემდობა „მერანმა“ აკადემიკოს ნიკო ჭელაძის  
ვერსის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოსცა პირველი მსოფლიო  
ომის ძროს უდროოდ დალუბული შესანიშნავი ქართველი პოეტის გრი-  
გორ მეგრელიშვილის („მთის ნიავი“) დექსებისა და პოემების კრებუ-  
ლი „შუქურვარსკვდავი“. ამ კრებულის მასადების უდიდესი ნაწილი მო-  
ძიებულ და შექრებიდ იქნა თამარ ლვადაძის მიერ. გარდა ამისა, მან  
შეკრიბა ვრ. მეგრელიშვილის სხვა უცნობი დექსები, რომელთა გამოქ-  
ვეყნება არ დასცადდა.

გადაკტიონისა და იოსებ გრიშვილის არაერთი შესანიშნავი  
ქმნიდების პირველმსმენერი ყოფილა იგი...

სახელმწიფო მკვდევარ-ბიბლიოგრაფისა და პედაგოგის დამსახურე-  
ბა ეროვნული კულტურის წინაშე აღნიშნულია არაერთი ჯილდოთი. 1941  
წელს მას მიენიჭა უფროსი მეცნიერ თანამშრომელის სამეცნიერო წო-  
დება, 1960 წელს საქართველოს საპატიო, ხოლ 1962 წელს რესპუბ-  
ლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდებები. 1961  
წელს თ. ლვადაძე დაჯიდღოვდა საქართველოს უმაღლესი სამსახურის  
დიუმის საპატიო სიგერით.

1986 წლის 26 დეკემბერს ქართულმა გუდტურამ მძიმე დანაკ-  
დისი განიცადა — თითქმის 85 წლისა გარდაიცვადა თანამედროვე ქარ-  
თული მეცნიერული ბიბლიოგრაფის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცნობი-  
ლი მკვდევარი-ბიბლიოგრაფი და პედაგოგი თამარ ნესტორის ასული  
კუცია-ლვადაძე. მისი ნამოლვაწარი, ნათელი სახელი ოქტომბრი  
თაა აღმოჩენილი ქართული წიგნთმცოდნეობის ისტორიაში.

## I. თამარ კუცია-ღვალაძის ზრდები

1. ი. ციცელგილი, ვ. ბროსე, გ. ბირულავა, თ. კუცია-ღვალაძი და სხვ.  
ტფილისის ბიბლიოთეკების ქართული წიგნების ჟეგურებული კატალოგი.  
ნაკვეთი 1 (1921—1924 წწ.). — ჟურნ. „წიგნის მეცნიერის“ (1925, № 1—2) და-  
მატება. 125 გვ.

### 2. თ. კუცია-ღვალაძი.

აკაკის ლირიკა (ბიბლიოგრაფიულ-ქრონოლოგიური საძიებელი). — აკაკი წე-  
რეთელი. რჩეული თხზულებანი, ტ. 4, ტფილისი, 1928. გვ. 285—331.

### 3. თ. კუცია-ღვალაძი,

უცხოელი და რუსი ავტორები ტფილისზე (ბიბლიოგრაფიული ნარჩენები). —  
გამ. „ლიტერატურული გაზეთი“, № 24, 1934.

### 4. თ. გამაბარიანი, თ. კუცია-ღვალაძი.

შოთა რუსთაველი უცხოეთის ლიტერატურაში (ანოტირებული ბიბლიოგრა-  
ფია). — საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, ტ. 4, ტფი-  
ლისი, 1938.

### 5. თ. კუცია-ღვალაძი.

გაზეთის სტატიების მატიანე, № 2, თბილისი, 1939. — საქართველოს სახელ-  
მწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა, 1939.

### 6. თ. კუცია-ღვალაძი.

გაზეთის სტატიების მატიანე, № 12 (1940). საქართველოს სახელმწიფო წიგ-  
ნის პალატის გამომცემლობა, თბილისი, 1940.

### 7. თ. კუცია-ღვალაძი და სხვ.

გაზეთის სტატიების მატიანე, № 7 (1941). — საქართველოს სახელმწიფო  
წიგნის პალატის გამომცემლობა, თბილისი, 1941.

### 8. თ. კუცია-ღვალაძი და სხვ.

რეცეზების ბიბლიოგრაფია (ქართული წიგნები და უურნალ-გაზეთები.  
1930—1938 წწ.). საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა,  
თბილისი, 1941. 58 გვ.

9. თ. კუცია-ღვალაძი, ქრ. შარაშიძე, თ. ნაკაშიძე, ვ. ჭოჭუბა და სხვ.  
(წიგნის პალატის კოლექტივი).

ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. I (1629—1920 წწ.). საქართველოს სახ-  
ხელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა. თბილისი, 1941. 560 გვ.

#### 10. ო. კუცია-ღვალაძე.

„მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევების“ 1—10 გამოშევ-  
ბების შინაარსი, მცენარეთა ლათინური სახელწოდებებისა და სტატიების მაჩვე-  
ნებელი. — „მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევები“, გამოშევბა  
10. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941.  
გვ. 63—137.

#### 11. ო. კუცია-ღვალაძე.

ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია (1872—1946 წწ.). სა-  
ქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა. თბილისი, 1947.  
155 გვ.

#### 12. ო. კუცია-ღვალაძე და სხვ.

ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. მე-2 (1921—1945 წწ.). ნაკვ. 1. გა-  
მომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბილისი, 1950, 819 გვ.

#### 13. ო. ღვალაძე.

თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის პერიოდული გამოცემების სტატიების  
ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი (1895—1955 წწ.). საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1956. 86გვ.

#### 14. ო. ღვალაძე.

„მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევების“ მე-11—მე-20 გა-  
მოშევბების შინაარსი, მცენარეთა ლათინური სახელწოდებებისა და სტატიების  
ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი. — „მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიი-  
ს ნარკვევები“, გამოშევბა მე-20, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გა-  
მომცემლობა. თბილისი, 1958. გვ. 63—89.

#### 15. ო. ღვალაძე.

თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის შრომათა ბიბლიოგრაფია (1933—1959).  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1960. 157 გვ.

#### 16. ო. ღვალაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ცენტრალური ბოტან.-  
კური ბალის შრომათა ბიბლიოგრაფია (1890—1965 წწ.). თბილისი, 1965. ხელ-  
ნაწერი (ინახება თბილისის ცენტრალური ბოტანიკური ბალის სამეცნიერო ბიბ-  
ლიოთეკაში). 500 გვ.

#### 17. ო. კუცია-ღვალაძე და სხვ.

ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. 2 (1921—1945 წწ.). ნაკვ. მე-2. გამომ-  
ცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბილისი, 1951, 570 გვ



18. თ. ბასრაძე, თ. ლვალაძე.

ბიბლიოგრაფია ახალ მოთხოვნათა დონეზე. — გაზ. „სახალხო განათლება“, 28 აგვისტო, 1968.

19. თ. ლვალაძე.

აქადემიკოსი ივანე ჭავახიშვილი — ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიასა და საბიბლიოთეკო საქმის მოშენებაზულე. — გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, № 29, 1968.

20. თ. ლვალაძე.

ვასილ წერეთელი. — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9/IX—1988.

21. თ. ლვალაძე.

შინაარსიანი ცხოვრება (მოგონება ქრისტინე შარაშიძეზე). — „წიგნის სამყარო“, 13/VII—1988.

22. თ. ლვალაძე.

მცირე მოგონება „შალვა ნუცუბიძის კურსებზე“. — გაზ. „სახალხო განათლება“, № 101, 1988.

23. მ. ლვალაძე.

ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია (1871—1971 წწ.). გადაცემულია გამომცემლობა „განათლება“-ში, 600 გვ.

## II. 01. კვერა-ლვალაძის რედაქციით გამოცემული ჟურნალები.

ორნიშნა საკურარო ტაბულები, შედგენილი კეტერის მეთოდის მიხედვით (სახელმძღვანელო). საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა, თბილისი, 1941.

2—7. აპტორთა პოლევშივი.

საქართველოს ფლირა. ტრ. ბე-3—მე-8. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1947—1953 (სტილისტური რედაქტორი).

## III. ლიტერატურა თ. კუცია-ლვალაძეზე

1. ს. ტურიაშვილი.

ერთ-ერთი უძველესი (თამარ ღვალაძეზე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ბოტანიკური ბალის სახელმწიფო ბიბლიოთეკაზე). — გაზ. „ახალგაზრდა კომიტეტი“, 18 ოქტომბერი, 1960.

2. ილი საბჭოთა მნიშვნელოვანი. მე-2 გამოცემა. ტ. 30, მოსკოვი, 1954.

83. 197 (სტატია „ნოტოგრაფია“).



3. 3. මිත්තම්.

උගාංශ්‍රමක්සල් ඩිපලොගරාෆෝ. — ජුර්නාල් „මියෙන්ස පාඨාරු“, සංඛ්‍යා ප්‍රභාව සේරි, 1986.

4. ටැබාර ඕනෑඩ්ට්‍යූල්පට් (රෝග්‍රෝලෝගෝ). — ගාන්. „තධිලිස්“, 27 දෙසැම්බර්, 1986.

5. ට. 6. ඕනෑඩ්ට්‍යූල්පට් (රෝග්‍රෝලෝගෝ). — ජුර්නාල් „මියෙන්ස පාඨාරු“, 14 නාත්‍යාර්ථ, 1987.

6. ට. ඩෙකාඡිපට්.

ජාරිතුවල් මෙහෙනුරුවල් ඩිපලොගරාෆෝ මෝශීකරණයේ. තධිලිස්, 1992, 22 83.



გადაეცა შარმოებას 8. 04. 92, ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 04. 92

ქაღალდის ზომა  $60 \times 84^1/16$ . ბეჭდვა: მაღალი ნაბეჭდი თაბახი 1. 75

ტ. 250

ფასი 2 მან.

3

F 68.624

3

ଓଡ଼ିଆ  
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ